"Apple" ელასტიკურ ლეპტოპებს შექმნის
შაბათი, 24 აგვისტო 2013 17:30

კორპორაციამ "Apple" მყარი მასალების წარმოების ტექნოლოგია დააპატენტა, მათი მეშვეობით კომპაქტური ტექნიკის (მაგალითად, ნოუთბუქის) დეტალების ნაწილების ელასტიურად მომზადება ხდება შესაძლებელი.
შესაბამისი პატენტური განცხადება აშშ-ის სავაჭრო მარკის და პატენტთა ბიუროს ოფიციალურ ვებ-გვერდზეა განთავსებული.

ახალ ტექნოლოგიას "Interlocking flexible segments formed from a rigid material" ჰქვია. ამერიკული კომპანია მყარი მასალების თქმით ლითონს, ალუმინს და პლასტმასას გულისხმობს.

"Apple" ზემოთ ხსენებული განცხადება აშშ-ის სავაჭრო მარკის და პატენტთა ბიუროს 2013 წლის თებერვლის შუა რიცხვებში გაუგზავნა. ხუთშაბათს ბიურომ განცხადებასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.

1 / 1